სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N230219914
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	21.02.2023 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ეკატერინე ძულიაშვილი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, დიღმის მას. III კვარტალი, კორპ. 7, ბინა 1ა
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	599589966
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	22162763568223

დღეს, ორიათას ოცდასამი წლის ოცდაერთი თებერვალს, მე საქართველოს ნოტარიუსს ეკატერინე ძულიაშვილს, სანოტარო ბიუროში, მდებარე: ქ. თბილისი, დიღმის მას. III კვარტ. კორპ. 7 ბინა 1ა-ში, მომმართა მოქალაქე შალვა მამულაშვილმა, რომელმაც ითხოვა თანხმობის შედგენა და თანხმობაზე მისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.

მე დავადგინე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ სანოტარო ბიუროში ნამდვილად შალვა მამულაშვილმა /დაბ. 05.10.1970 წელს, მის. თბილისი, პეკინის გამზ. # 25, ბინა 50, პ# 01024010798/, მომმართა.

შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს.

ხელმომწერს განვუმარტე, რომ ნოტარიუსი არ ადასტურებს წინამდებარე თანხმობის შინაარსს და მასში მოყვანილი ფაქტების ნამდვილობას და შესაბამისად პასუხს არ აგებს მასზე. ნოტარიუსს არ ეკისრება პასუხისმგებლობა კერძო აქტის კანონმდებლობასთან შეუსაბამობის ან წინამდებარე აქტში ხელმომწერის ნების არაადეკვატურად ასახვის გამო, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით ხელი მოაწერა წარმოდგენილ თანხმობას, რასაც ვამოწმებ.

გადახდილია საზღაური სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის 6.00 ლარი თანახმად "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის # 507 დადგენილების 31 მუხლისა + პროექტის შედგენის 10.00 ლარი, თანახმად ამავე დადგენილების 31 მუხლისა + დღგ 2.88 ლარი თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166 მუხლისა + სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური 5.00 ლარი თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის # 507 დადგენილების 39 მუხლისა, სულ გადახდილია 23.88 ლარი.

ნოტარიუსი _____ /ეკატერინე ძულიაშვილი/

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

თანხმობა

ქ. თბილისი

21.02.2023 წელი

სს „მამული“ ს.კ 201951780 საკუთრების უფლებით ფლობს შემდეგ უძრავ ქონებას:

- მისამართი ქ. თბილისის, ვაზისუბნის I მ/რ, შენობა N 1
- ს/კ 01.17.07.038.003.01.501

ხოლო ზემოხსენებულ უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობის უფლებით ფლობს შპს „რითეილ ჯგუფი“ ს/კ 436041659,

სს „მამული“ (ს.კ 201951780) დირექტორი შალვა მამულაშვილი (დაბ. 05.10.1970 წელს, მის. თბილისი, პეკინის გამზ. # 25, ბინა 50, პ# 01024010798) თანხმა ვარ, რომ სს „მამული“ (ს.კ 201951780)-ს საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე , მდებარე: ქ. თბილისის, ვაზისუბნის I მ/რ, შენობა N 1, 01.17.07.038.003.01.501, მასზედ, რომ შპს „რითეილ ჯგუფმა“ შენობა-ნაგებობაზე განათავსოს/დაამონტაჟოს ნებისიერი სახის სარეკლამო მასალა (მათ შორის აბრა, ბანერი), შეასრულოს მასთან დაკავშირებული ნებისმიერი სამუშაო, ასევე, განახორციელოს ფასადის სარემონტო/სამღებრო სამუშაოები და საჭიროების შემტხვევაში განათავსოს სავენტილაციო გათბობა-გაგრილების, კონდენციონერების და სხვა მსგავსი მოწყობილობები დანადგარები .

შპს „რითეილ ჯგუფი“ ასევე უფლებამოსილია წარმოადგინოს ჩემი ინტერესები და გააკეთოს ნებისმიერი ტიპის განცხადება, მათ შორის აბონენტის რეგისტრაციასა ან/და ქვეაბონენტად რეგისტრაციასთან დაკავშირებით შემდეგ პირებთან საჭიროებისამებრ:
სს „თელასი“; შპს „თბილისი ენერჯი“ „წყალმომარაგების კომპანია“ შპს“ ჯორჯიან უითერ ენდ ფაუერ“;

სს „მამული“ (ს.კ 201951780)
დირექტორი
შალვა მამულაშვილი